# ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

1 აგვისტო ხუთშაბათი
2024 წელი
№31 (9345)
ფასი 40 თეთრი


## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

26 ივლისს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

დეპუტატებმა საკრებულოს გეგმიური სხდომის დღის წესრიგი დაამტკიცეს:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ;

მოისმინეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე პირის, რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტი 2024 წლის სოციალური დახმარების პროგრამა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №43 დადგენილებაში;

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 თებერვლის №20 განკარგულებაში;

ასევე ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელსა და დაბებზე თანხის გადანაწილების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 მარტის Nგ-17.1724086001 განკარგულებაში;

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2024-2025 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის Nგ-17.17233004 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2024 წელს დასრულებული და მიმდინარე პროექტების შესახებ;

იმსჯელეს ახალდაბაში მდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის (ქუჩა) სახელწოდების ცვლილების თაობაზე;

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორის **მარინა ქიტიაშვილის** ინფორმაცია 2023-2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

## სოფელს კეთილმოწყობილი გზები



ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში გზის საფარის 1 152-მეტრიანი მონაკვეთი მოეწყობა.

სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის ღირებულება 777 976 ლარია.

მიმდინარე სამუშაოებს შპს „ბილტმორი“ ასრულებს.

## ბაკურიანის არეალისთვის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პრობლემები გადაწყდება



ისტორიული პროექტების მიმდინარეობას ადგილზე სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი**, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი **ალექსანდრე თევდორაძე,** მოადგილე **აკაკი მშვიდობაძე,** სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძე** და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლები გაეცნენ.

დაბა ბაკურიანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები 2026 წელს დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ბაკურიანში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის 4 პროექტი განხორციელდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, 5 მლნ. ლარი შეადგინა. შედეგად ბაკურიანის 10 800-მდე ბენეფიციარი უკვე სარგებლობს 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით.

**2023 წელს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ბაკურიანში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის 4 პროექტი განხორციელდა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, 5 მლნ. ლარი შეადგინა. შედეგად, ბაკურიანის 10 800-მდე ბენეფიციარი უკვე სარგებლობს 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით.**



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ბაკურიანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების 3 პროექტს ახორციელებს.

ისტორიაში პირველად, დაბა ბაკურიანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალი ქსელები შენდება, რომელთა ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ 15 000-მდე ბენეფიციარი უწყვეტი, თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებითა და სრულიად ახალი ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში, მნიშვნელოვნად გაიზრდება წყლის დებიტი, მოეწყობა რეზერვუარები, სატუმბი სადგურები და აღრიცხვის კვანძები. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება და აშენდება ყველა ობიექტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურორტის განვითარებას. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 150 მლნ. ლარი მოხმარდება.

უახლოეს მომავალში კი კურორტზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა იგეგმება, რომელიც ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების წმენდას სრული ბიოლოგიური ციკლის დაცვით განახორციელებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას

### როცა მშობლიური ქალაქი არ გვიყვარს!

## ჯობს ლამაზი ბორჯომი ვადღეგრძელოთ!



**ორ საუკუნეზე მეტია ბორჯომელმა დამსვენებელთა მასპინძლობას მოჰკიდა ხელი. დღესაც ესაა მისი კეთილდღეობის წყარო. მით უფრო, რომ განვითარებულ საუკუნეში მრავალგვარ ვითარებას მოერგო გამქირავებელთა და დამქირავებელთა სიტუაცია.**

უმრავლესობამ საკუთარიდან გამოჰყო ფართი დამსვენებელთა მისაღებად. გაარემონტა, კეთილმოაწყო ინტერიერიც და ეზოც.

მუნიციპალიტეტის ძალისხმევითაც ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის იერსახის გასაუმჯობესებლად, მეტი ტურისტ-დამსვენებელის მოსაზიდად...

მაგრამ პარალელურად ამისა, ჩვენი საყვარელი ბორჯომ-ქალაქი ალაგ-ალაგ უშნოდ და ბინძურად გამოიყურება... და ეს ხდება ბორჯომელის უგულობით, უკულტურობით, უმეცრებით, რასაც თავის საკუთრებაში არ ჩაიდენდა.

ალბათ შემჩნეული გექნებათ, ისედაც ვიწრო, გაუვალ ქუჩებზე საცხოვრებლებიდან გამოყრილი სამშენებლო ნაგავი, ძველი ავეჯის ნაწილები, გამოცვლილი იატაკის ნარჩენები, დარჩენილი სამშენებლო მასალა: ქვიშა, დამტვრეული აგური, ბლოკი, რომელთა „არ დაკარგვის“ან დანანების მიზნით ინახავს, ზოგიერთი ეზოს თუ სახლის შემოღობვასაც ამ ნარჩენებით აპირებს... ისედაც ვიწრო ქუჩებზე ჩნდება პარკინგის კრიზისი, ფერხდება ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება. ხშირად არაბორჯომელებს ჩვენი ქალაქის ქუჩები ბაზრად უქცევიათ. ჩვენ, აქაურები მივეჩვიეთ ამგვარ სურათებს, აღარაფრად მიგვაჩნია. ჩამოსულები კი ისევე ამჩნევენ ქალაქის „მინუსებს“, როგორც ჩვენ, უცხო ქვეყნებში - „პლიუსებს“. ევროპა რომ მოგვწონს და ევროპელობისკენ მივისწრაფვით კარგი რამაა, მაგრამ რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ევროპელებს დავემსგავსოთ და იმდგვარად მოვუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს?!

ამიტომ მოდით, ამ მიზნისკენ სვლა ქალაქის



მოწესრიგებით დავიწყოთ. მოდით, ჩვენი ქალაქი, რომელიც ბუნებრივად ლამაზი, ბალნეოლოგიური და ტურისტული რესურსებით მდიდარია, შესახედავადაც მიმზიდველი გავხადოთ! ამისათვის არა მარტო საკუთარი ბინები, სახლები და ეზოები, არამედ ქუჩებიც გავილამაზოთ!

თუმცა ეს ზოგან არც ისე ადვილი იქნება, რადგან წლების წინ ქალაქში უკანონოდ ჩამწკრივებული და შემდეგ უპასუხისმგებლო, წინდაუხედავ მავანთა მიერ აღიარებული ჩიხა-მახა ბარაკ-ნაგებობანი დღეს დიდ პრობლემას ქმნის იმ ადგილებში გადაადგილებას, ინფრასტრუქტურის, ლანდშაფტისა და ქალაქის იერსახის მოწესრიგებას... აქვე დავინტერესდი კითხვით: რა ფუნქცია აქვს ამ ბარაკებს დღეს? რა სიმდიდრეს ინახავს იქ მისი მფლობელი? ნუთუ ასე ძნელია შეველიოთ ძველმან ნივთებს, ქილებს, ძველ გამოცვლილ ავეჯს, და ა.შ. ნაგავს, როცა ამ ადგილას მშვენიერი დასასვენებელი სკვერი, ბავშვთა გასართობი მოედანი, ან მანქანების მოსაბრუნებელი და ღია სადგომები შეიძლება მოეწყოს?!

ყოველ წელიწადს ბორჯომ-ქალაქობას ვზეიმობთ. ალბათ წელსაც მოვეფერებით ქალაქს! ბორჯომელებო, ბორჯომის სიყვარულს მარტო სადღეგრძელოებში ნუ გამოვხატავთ! - დღენიადაგ ვიზრუნოთ ჩვენი ქუჩების, საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების სისუფთავეზე, უმცროსი თაობაც ავიყოლიოთ, რომ ქალაქის ლამაზი, მომხიბვლელი იერსახე მივიღოთ!... რომ ჩვენს (ბორჯომელთა) აუცილებელ სადღეგრძელოში ამაყად, რიხით ვთქვათ: „ჩვენი ლამაზი ბორჯომის სადღეგრძელო იყოს“-ო!!

მერწმუნეთ, მშობლიური ქალაქის იერსახის მოსაწესრიგებლად თითოეული ბორჯომელი უნდა ზრუნავდეს. ბორჯომში ჩამოსული სტუმარი მარტო თქვენს ბინაში არსებული კომფორტით არ განსაზღვრავს ქალაქის განვითარების დონეს, ის კარგად ამჩნევს იმ უწესრიგობას და ქაოსს, რომელსაც თითოეული შეგნებული და უპასუხისმგებლო ადამიანი ნებით თუ უნებლიედ ზიანს აყენებს მშობლიური ქალაქის თუ დაბა-სოფლების იერსახეს. ამიტომ მოგიწოდებთ, გიყვარდეთ არა მარტო საკუთარი სახლი და ეზო-კარმიდამო, არამედ მთლიანად მშობლიური ქალაქი. ბორჯომი ხომ ჩვენი დიდი სახლია, რომელსაც თითოეულ კუთხე-კუნჭულს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

**მარიკა გელაშვილი,**
**არქიტექტორი.**



ქალები ბიზნესში

# „მეწარმეობის ელჩი ქალები“-ს პროექტი წარმატებით დასრულდა

განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა (DEP) როენეს ფონდთან თანამშრომლობითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, როგორც ინტეგრაციის ელჩები“ მინი-გრანტების კომპონენტის ფარგლებში, პროექტი, სახელწოდებით: „მეწარმეობის ელჩი ქალები“ განხორციელება აპრილიდან დაიწყო. პროექტის შესახებ საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისათვის თავდაპირველად შეიქმნა ფეისბუქ გვერდი „მეწარმეობის ელჩი ქალები“, სადაც პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობის შესახებ ინფორმაცია ფბ გვერდზე - https://www.facebook.com/profile.php?id=100068951808484 გავრცელდა.

სწორედ აპრილის დასაწყისიდანვე გამოცხადდა კონკურსი პროექტის მონაწილეთა მისაღებად. ელექტრონული სააპლიკაციო განაცხადიც სწორედ ამავე გვერდზე გამოქვეყნდა და საკმაოდ მაღალი იყო საზოგადოების ინტერესიც. აპლიკანტებს შორის იყვნენ, როგორც გამოცდილი, ასევე ახალბედა მეწარმე ქალები. შერჩეული კანდიდატებიდან ზოგიერთი ქალბატონი ხელნაკეთ ნივთებს აწარმოებს, ზოგიერთი სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ა.შ. თითოეული მათგანის საქმიანობა განსხვავებული და რაც მთავარია მრავალფეროვანი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ პროექტში ორ რეგიონში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ქალბატონები იყვნენ ჩართულები. პროექტის ფარგლებში შეხვედრები იმართებოდა როგორც ონლაინ ფორმატში, ასევე ფიზიკურ სივრცეშიც. პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება თბილისში 21 ივლისს გაიმართა. აღნიშნული პროექტის დეტალებზე პროექტის მედია პროგრამის მენეჯერი ქალბატონი **ნინო ვართაპეტიანი** გვესაუბრება:



**● ნინო როდის დაიწყო პროექტის განხორციელება, რა იყო მთავარი მიზანი და რატომ შეირჩა ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი?**

- მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტის მართვის გუნდის წევრები, ნათია ოქროპირიძე, გულია მუსტაფაევა და პირადად მე, ჩართულები ვიყავით პროექტში „ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, როგორც ინტეგრაციის ელჩები“, რომელსაც ახორციელებდა განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა, მონაწილეები ვიყავით სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან. მონაწილეებმა გადავწყვიტეთ ჯგუფებში გაერთიანება და საერთო საპროექტო იდეაზე მუშაობა, ჩვენი ინიციატივა უნდა განგვეხორციელებინა სამიზნე რეგიონებში, - ან სამცხე-ჯავახეთში, ან ქვემო ქართლში. ანუ, იმ რეგიონებში, რომლებსაც თავად წარმოვადგენდით. ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა ორივე რეგიონში განგვეხორციელებინა საერთო ინიციატივა და გავერთიანდით საერთო იდეის გარშემო. ასე დაიბადა „მეწარმეობის ელჩი ქალები“. ორივე რეგიონი სამიზნე იმიტომ იყო, რომ სამცხე-ჯავახეთიც და ქვემო ქართლიც ჰგავს ერთმანეთს. ორივე რეგიონში ცხოვრობენ ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები და აქ ქალები ნაკლებად აქტიურები არიან. პროექტის „მეწარმეობის ელჩი ქალები“-ს მიზანია, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები, ეთნიკური,რელიგიური უმცირესობის მეწარმე ან მეწარმეობით დაინტერესებული ქალების,-გოგონების აღმოჩენა და ხელშეწყობა ეკონომიკურ გაძლიერებასა და მეწარმეობაში, რასაც ვფიქრობთ, რომ მიღწეულია. პროექტის სათაურიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ქალები არიან საკუთარ თემში მეწარმეობის ელჩები და ამ პროექტის დასრულების შემდეგაც, ისინი საკუთარ ცოდნას, გამოცდილებას გაუზიარებენ სხვა ქალებს, რომლებსაც ჭირდებათ პირველი ნაბიჯების გადადგმა მეწარმეობაში განსავითარებლად და წარმატებების მისაღწევად.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის მართვის გუნდი დაკომპლექტებული ვართ ეთნიკურად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლებით. ვფიქრობთ, რომ მრავალფეროვნება ჯერ საკუთარ გუნდში დავიწყეთ და შემდეგ გავედით რეგიონებში.

**● სულ რამდენი შეხვედრა გაიმართა და რა საკითხების შესახებ იყო შეხვედრები?**

- ონლაინ შეხვედრები მაისიდან დავიწყეთ. თავდაპირველად, გვქონდა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა ორივე რეგიონის ბენეფიციარებთან. პროექტის მართვის გუნდი შევხვდით სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან შერჩეულ ქალებს. გავეცანით მათ გამოცდილებებს, გავუზიარეთ ყველა სახის ინფორმაცია, რაც პროექტის ფარგლებში გვქონდა დაგეგმილი და მოვისმინეთ მათი მოლოდინები. ონლაინ ფორმატში ჩავატარეთ 4 თემატური ტრენინგი ორივე რეგიონის მონაწილეებისათვის. პირველი ტრენინგის თემა იყო **„ტვინის ხაფანგები“**, რომელიც ჩაატარა სამოტივაციო სპიკერმა და საერთაშორისო ტრენერმა მაია ქობალიამ. სპიკერმა ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე თუ როგორ იქცევა ჩვენი ტვინი კონკრეტულ შემთხვევებში. ამ თემამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მომდევნო ონლაინ შეხვედრის თემა იყო, **„სად და როგორ მოვიძიოთ ინფორმაციები“** საგრანტო კონკურსების, განაცხადების შესახებ, სად უნდა შეავსონ განაცხადები, სად რა დამხმარე რესურსები არსებობს დამატებით და რა უნდა გაითვალისწინონ ინფორმაციების მოძიებისას. ყველა სახის ინფორმაცია პროექტის მონაწილეებს გაუზიარა CSI-ს სოციალური მედიის მენეჯერმა **ლალი შალვაშვილმა.**

მესამე ონლაინ ტრენინგი თემაზე „როგორ დავწეროთ სამეწარმეო განაცხადები“, ენტერპრენიორმა, ტრენერ-კონსულტანტმა და ქოუჩმა **გიორგი თვალიაშვილმა** ჩაატარა. გიორგიმ ჩვენი პროექტის მონაწილეებს გაუზიარა რჩევები, როგორ დაწერონ სამეწარმეო განაცხადები, როგორ გაწერონ ბიუჯეტი, რას მიაქციონ ყურადღება შევსების დროს და რა გაითვალისწინონ იმისათვის, რომ განაცხადები იყოს კონკურენტუნარიანი.

მეოთხე ონლაინ ტრენინგი კი SJMC-ის დირექტორმა **მარინა კუპატაძემ** ჩაატარა, თემაზე „ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები, მედია - როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტი“. მარინამ ისაუბრა კომუნიკაციის ელემენტებზე, სახეებზე და ფორმებზე. განმარტა, რა კითხვებს უნდა პასუხობდეს პრეს-რელიზი და ვისთვის არის განკუთვნილი, რა არის პრეზენტაციის მიზანი, როგორ უნდა ითანამშრომლონ მედიასთან და რა უნდა გაითვალისწინონ თითოეულ შემთხვევაში.

პროექტის მონაწილეები, ტრენინგების დაწყებამდე და შემდეგ ავსებდნენ პრე და პოსტ ტესტებს, რომელიც ზომავს მონაწილეთა ინფორმირებულობის დონეს კონკრეტული თემის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ ფორმატში შედარებით რთულია ტრენინგების ჩატარება სპიკერებისთვისაც და მოსმენა მონაწილეებისთვისაც, მაინც მაღალი ინტერესი და ჩართულობა იყო თითოეულ ტრენინგზე.

ონლაინ ტრენინგების შემდეგ, გვქონდა ტრენინგები ფიზიკურ სივრცეში. ქვემო ქართლის მონაწილეებისთვის ტრენინგი ჩატარდა მარნეულში, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მონაწილეებისთვის - ბორჯომში. მეწარმეობის ელჩ ქალებს საშუალება ჰქონდათ, თავიანთ რეგიონში დასწრებოდნენ ერთდღიან ტრენინგს, რომელიც ორივე რეგიონისთვის იყო იდენტური. ბორჯომშიც და მარნეულშიც ტრენინგის თემები იყო ,,როგორ შევძლოთ პროდუქციის რეალიზება სოციალურ ქსელში და როგორ დავნერგოთ საერთაშორისო სტანდარტები ჩვენს წარმოებაში“. სოციალურ ქსელში პროდუქციის რეკლამირებაზე, შეფუთვაზე, თვითბრენდირებასა და მარკეტინგზე ტრენინგი ჩავატარე პირადად მე, პროექტის მედია პროგრამის მენეჯერმა და ასევე ტელეკომპანია „ბორჯომის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა. მეწარმე ქალებს კონკრეტული რჩევები მივეცი პროდუქციის რეკლამირებისთვის. ჩემს შემდეგ კი თანამედროვე სტანდარტების შესახებ ტრენინგს უძღვებოდა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ექსპერტი თამარ ახალაძე. მან ისაუბრა იმ სტანდარტებზე, რაც გასათვალისიწინებელია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. სპიკერმა კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები მისცა მეწარმე ქალებს.

**● სულ რამდენი მონაწილე შეირჩა?**

- თავიდან გათვალისწინებული გვქონდა, რომ პროექტის ფარგლებში უნდა შეგვერჩია 20 მონაწილე (10 სამცხე-ჯავახეთიდან, 10 ქვემო ქართლიდან), თუმცა მაღალი ინტერესიდან და მოტივაციიდან გამომდინარე, სააპლიკაციო ფორმა ძალიან ბევრმა ქალმა შეავსო. გადავწყვიტეთ შანსი მიგვეცა დამატებით სხვა მონაწილეებისთვისაც და 30-მდე ქალი შევარჩიეთ. პროექტი ითვალისწინებდა ორ ეტაპს (ონლაინ და ოფლაინ ტრენინგებს). ონლაინ ტრენინგებზე დასწრების საშუალება მივეცით ყველა შერჩეულ მონაწილეს. ხოლო, მეორე ეტაპისთვის ყურადღება მიექცა მათ ჩართულობას, დასწრებას, აქტიურობას, მოტივაციას. შესაბამისად, მეორე ეტაპზე გვყავს 23 ქალი ორივე რეგიონიდან. თითოეულ მათგანთან კომუნიკაცია ჩვენთვის არის ძალიან დიდი კომფორტი.

**● პროექტის მონაწილეთა შესახებ მომზადდა ორივე რეგიონიდან 5-5 მონაწილე ქალბატონზე ფოტო ისტორიები. ეს ქალბატონები როგორ შეირჩნენ?**

- პროექტში გათვალისწინებული გვქონდა 5-დღიანი საინფორმაციო კამპანია რეგიონულ და სოციალურ მედიაში. ეს გულისხმობდა ფოტო ისტორიების მომზადებას და გამოქვეყნებას ჩვენი პროექტის მონაწილე ქალების შესახებ. სულ მომზადდა 10 ფოტო ისტორია (5 ქვემო ქართლში, 5 სამცხე-ჯავახეთში).

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის თითოეული მონაწილე იყო გამორჩეული და რთული, იყო მათგან 5-5 ქალის შერჩევა, პროექტის მართვის გუნდმა გადაწყვიტა, ამ ნაწილში ყოფილიყო ნეიტრალური და ხმათა უმრავლესობით გამოვლენილიყვნენ ფოტო ისტორიების გმირები. ანუ, პროექტის თითოეულ მონაწილეს შესაძლებლობა ჰქონდა ხმა მიეცა სასურველი 5 კანდიდატისთვის. პრინციპი კი იყო შემდეგნაირი: სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ქალები ირჩევდნენ ქვემო ქართლიდან 5 სასურველ კანდიდატს და პირიქით, ქვემო ქართლში მცხოვრები ქალები ხმას აძლევდნენ 5 ქალს სამცხე-ჯავახეთიდან. იდეამ გაამართლა და ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა 5-5 ქალი ორივე რეგიონიდან.

ფოტო ისტორიების გმირები ქვემო ქართლიდან არიან: **ლეილა ნამაზოვი, ნაზიბროლა ლონდარიძე, თინათინ კაპანაძე, ნინო კასრელიშვილი და თამარ ტყემალაძე.**

შერჩეული ქალებიდან ზოგიერთი მათგანი აწარმოებს ხელნაკეთ ბროშებს, ნივთებს, სოფლის პროდუქციას და ასე შემდეგ.

ხოლო სამცხე-ჯავახეთიდან ფოტო ისტორიებისთვის შეირჩნენ: **მარი ქინქლაძე, ირინა მარტიროსიანი, ნანა ჩადუნელი, ნატო მელიქიძე და მაყვალა ლომსაძე.**

ასევე, შერჩეული ქალები ძირითადად აწარმოებენ ხელნაკეთ ნამუშევრებს, სუნელებს, სხვადასხვა ბალახეულ ჩაის, ჩართულები არიან ტურიზმის სფეროში და სურთ მეტი განვითარება.

5 დღიანი საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობდა 15-19 ივლისის ჩათვლით და მომზადებული ფოტო ისტორიები გამოქვეყნდა რეგიონულ მედიებში, რადიო ,,მარნეულის“ და ტელეკომპანია „ბორჯომის“ ფეისბუქ გვერდებზე, ასევე ჩვენი „მეწარმეობის ელჩი ქალების“ ფეისბუქ გვერდებზე. თითოეულ ფოტო ისტორიას აქვს საკმაოდ დიდი გამოხმაურება, კომენტარები, გაზიარებები და დადებითი შეფასებები, რაც ძალიან გვახარებს.

**● პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება 21 ივლისს გაიმართა, ამაზეც რომ ვისაუბროთ?**



- დიახ, პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება თბილისში, 21 ივლისს გაიმართა, სადაც მოვიწვიეთ ორივე რეგიონის მონაწილე ქალები. ერთად შევაჯამეთ პროექტის შედეგები, გავუზიარეთ იდეები, გამოცდილებები, მოვისმინეთ ქალების შეფასებები და დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები პროექტის მიღმა. გვყავდნენ მოწვეული სტუმრებიც და ქალებს საშუალება ჰქონდათ სურვილის შესაბამისად, საკუთარი პროდუქცია გაეცნოთ სხვებისთვისაც. ღონისძიების დასასრულს, სერტიფიკატებითა და ბრენდირებული საჩუქრებით დავაჯილდოვეთ მეწარმეობის ელჩი ქალები.

მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეთა მხრიდან წამოვიდა იდეები, რომ კარგი იქნება თუ ორი რეგიონის გარდა, საქართველოს სხვა რეგიონებიც ჩაერთვებიან აღნიშნულ პროექტში. ასევე პროექტის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ადგილობრივ დონეზე მოაწყონ საკუთარი პროდუქციის ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა.

გვიხარია, რომ პროექტი შედგა და იმედს ვიტოვებთ, რომ ბიზნეს სექტორიდან გამოჩდებიან ადამიანები, რომლებიც ამ ქალბატონებს გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ, რაც მათ ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის რეალიზებაში.

ასევე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდით პროექტის თითოეულ მონაწილეს აქტიური ჩართულობისთვის და ყველას უდიდეს წარმატებას ვუსურვებ.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

ტურისტული ბილიკებით ეროვნულ პარკში

# სამოთხე ლაშქრობის მოყვარულთათვის

**ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორმა ბატონმა ლევან საბანიძემ, ამჯერად, გაზეთი „ბორჯომის“ ჟურნალისტის კითხვებს ნეძვის აღკვეთილთან დაკავშირებით უპასუხა. ინტერვიუს გაცნობისას, მკითხველებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ ამ ხელშეუხებელი ბუნების ბილიკებზე ცოტა ხნით გამოგვყვნენ.**

**● ბატონო ლევან, რა ვითარებაა ნეძვის აღკვეთილში, როგორ შეუძლია გაატაროს დრო სტუმარმა, რომელიც გადაწყვეტს ეწვიოს ამ საოცარ ადგილს?**

- ნებისმიერ ადამიანს, ვინც მოახერხებს, ამ ულამაზეს ბუნებაში აღმოჩნდეს, აღტაცებაში მოიყვანს ეს საოცარი, ხელშეუხებელი ბუნება და სუფთა ჰაერი.

ნეძვის წრიული, პანორამული ბილიკი ერთმანეთთან სოფელ ახალდაბას, მთა დიდ ქართას, მთა შუანას და ნასოფლარ ნეძვს აკავშირებს. ბილიკი საშუალო სირთულისაა და მისი დალაშქვრა როგორც ფეხით, ისე ცხენითაა შესაძლებელი. ბილიკის გასწვრივ განთავსებულია მანიშნებლები, მოწყობილია ფანჩატური, საკემპინგე თავისი საჭირო ინფრასტრუქტურით (სველი წერტილები, საცეცხლური).

**● სერვისი, რომლითაც სარგებლობენ ტურისტები? გაქვთ მოსასვენებელი რამდენიმე სივრცე, რა დახვდებათ ადგილზე ამ სივრცეში? რამდენ პერსონაზეა გათვლილი?**

- ნეძვის ტურისტულ კოტეჯში ჯამში 14 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი, ხოლო გვირგინას თავშესაფარში - 8 ადგილია. ადგილზე მისულ ვიზიტორებს დახვდებათ კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა (ავეჯი, ღუმელი, ჰელიო-სისტემა, სველი წერტილი, ფანჩატური, საცეცხლე ადგილი, მიმდებარედ წყალი), სუფთა ჰაერი და ულამაზესი პეიზაჟები. რა თქმა უნდა, ჩვენი რეინჯერები საჭიროების შემთხვევაში, მათ უსაფრთხოებაზე იზრუნებენ და მიაწვდიან სასურველ ინფორმაციას.

**● რამდენად ნებადართული იქნება ნეძვის აღკვეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტებისათვის განკუთვნილი ღამის გასათევი სივრცეების მოწყობა, ვგულისხმობ კერძო საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთებს?**

- ნეძვის აღკვეთილის მიმდებარედ, ასევე აღკვეთილის სიღრმეში, სოფელ ნეძვის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, კანონის შესაბამისად, შესაძლებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მესაკუთრეების მიერ.

**● გვესაუბრეთ პროექტზე, რომელიც ნეძვის აღკვეთილში ეტაპობრივად განხორციელდება?**

- ნეძვის აღკვეთილში მიმდინარე წელს დასრულდა გვირგვინას თავშესაფარის მშენებლობა და 40-კილომეტრიანი ახალი შემოვლითი ბილიკის გაჭრა-მარკირება. ეს ბილიკი ვიზიტორისთვის შესაძლებელს ხდის ლაშქრობა გახადოს უფრო მრავალფეროვანი, მოგზაურობა შესაძლებელია მინიმუმ 2 ღამით.



გასულ წელს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით მოხდა საველე სწავლებების დანერგვა ნეძვის აღკვეთილში. პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა გაიარეს რამდენიმეკვირიანი საველე პრაქტიკა, ადგილზე გაეცნენ აღკვეთილის ბიომრავალფეროვნებას და რეინჯერთა მუშაობის პრინციპებს. პროექტი ყოველწლიურად ხორციელდება, დაგეგმილია მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა.

**● მიმართვა, რომელსაც ნეძვის აღკვეთილის სტუმრებს დაუტოვებთ?**

- ნეძვის აღკვეთილი ლაშქრობის მოყვარულთათვის ნამდვილი სამოთხეა. აქ მოწყობილია ერთი და რამდენიმე დღიანი, სხვადასხვა სირთულის ბილიკების ქსელი. ლაშქრობისას შეგიძლიათ ისარგებლოთ ტურისტული თავშესაფრებით, საპიკნიკე და ცეცხლის დასანთები სივრცეებით.

ნეძვის აღკვეთილში თქვენ ერთდროულად შეძლებთ დატკბეთ უნიკალური ბუნებით, ასევე აღმოაჩენთ უძველესი ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. ნეძვის ეროვნული პარკი მნიშვნელოვან თავშესაფარს წარმოადგენს მრავალი იშვიათი მცენარეთა და ცხოველთა სახეობისთვის.

**● ხე-ტყის მოპოვება-დამზადების პროცესზეც მოგვაწოდეთ ოფიციალური ინფორმაცია, როგორ ხორციელდება ეს ღონისძიება აღკვეთილის ტერიტორიაზე?**

- ამჟამად, ნეძვის აღკვეთილში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური ჭრის ფარგლებში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად ხდება ტყე-კაფების გამოყოფა. ნეძვის აღკვეთილში გაიცემა როგორც საშეშე, ასევე სამასალე მერქანი.

აღკვეთილში მერქნული რესურსის დამზადება და ტერიტორიიდან გატანა ხდება თვითონ მომხმარებლის მიერ, რეინჯერების ზედამხედველობით.

**იზა იანვარაშვილი**

წიგნის პრეზენტაცია

# გამოიდარებს, უეჭველად გამოიდარებს...



**25 ივლისს ბორჯომის თოჯინების თეატრის დარბაზში, მისტიკური, პოეტური აურა სუფევდა, მაყურებელს, მსმენელს, განსაკუთრებული გულით ანთებულებს - ანუ, ისინი ვისაც ლექსი შეჰყვარებია, მისგან სიამოვნება მიუღია და ,,სულიერ პურს“, თანაც ,,მზეზე გამომცხვარს - უხვად ელოდა. ასეც მოხდა: ბორჯომელი პოეტი ნინო ხოტივარის ლექსების პირველი კრებულის: ,,მზეზე გამომცხვარი პურის“** პრეზენტაცია გაიმართა. ამ განსაკუთრებული საღამოს მოლოდინი სულ მქონდა: დადგებოდა დღე, როცა ნინოს ლექსების კრებულს მკითხველის წინაშე გადავშლიდით, განვიხილავდით. პოეზიის საღამოს ორგანიზატორი და მთავარი ინიციატორები გახლდათ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: შესაშური ენერგიით გამორჩეული, უკვე ბევრი დასამახსოვრებელი საღამოს განმახორციელებელი **მაკა მანჯავიძე, მანანა ორჯონიკიძე და ნონა ლურსმანაშვილი.** აქვე აღსანიშნავია, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ **დავით ზაალიშვილის** წვლილი და მხარდაჭერა ყველანაირი სასიკეთო თვალსაზრისით. აკი, თვითონაც ბრძანა სამადლობელ სიტყვაში ბატონმა დავითმა: **,,ბორჯომისთვის - ქალაქისთვის უდიდესი დატვირთვა აქვს მსგავს საღამოებს. მე ყოველთვის ვეცდები მხარდაჭერა გამოვუცხადო ყველა ნიჭიერ პერსონას. მთავარია, ასეთი კარგი ლექსები იწერებოდეს და როგორმე მოვახერხებთ ბეჭდვის უზრუნველყოფას. ჩემი დიდი პატივისცემა ქალბატონ ნინოს შემოქმედებას“.**

მცირე სცენა, შესაბამისი განათება, გემოვნებიანი მუსიკა, ლიტერატურის მოყვარული მკითხველი საზოგადოებით ლურჯი (პოეტური ფერი) სკამები შეივსო და მეტად ორიგინალური გადაწყვეტით გაიხსნა ფარდა. მსახიობებმა: **ბაქარ ლომიძემ, მარიამ ლომიძემ, თამარ გელაშვილმა** პოეტის ჩანახატები, კრებულის პროზაული ნაწილი მონოლოგები და დიალოგები გააცოცხლეს, მეტი იდუმალება შემატეს ისედაც მიუწვდომელ ოცნებებს, დარდებს, განცდებს. ეს, თითქოს, შეუცნობელ სამყაროსთან პირდაპირ ტელეხიდს ჰგავდა. **სალომე მიქელაშვილის** ტექნიკური ხელშეწყობაც არ უნდა გამოგვრჩეს. ჩვენთან საუბრისას ზემოთნახსენები წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე - ხმა, თავად პოეტის შვილი, **ბაქარ ლომიძე** ჩვენთან საუბრისას მადლიერებით სავსე სიტყვებს არ იშურებს: **,,საერთოდ, ეს დღე ძალიან ემოციური იყო ჩემი ოჯახისთვის. დედას წარმატების გზაზე ბევრ ასეთ წიგნს და სიხარულს ვუსურვებ; მისი შინაგანი სამყარო ჩემთვის ძალიან ნაცნობი და ახლობელია. დიდ მადლობას ვეტყოდი თოჯინების თეატრის დირექტორს, ქეთევან სირაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დიდი მონდომებით გვერდით დაუდგა დედას. ჩვენი კომპოზიცია ერთობლივად მოვიფიქრეთ, როგორც ბორჯომის სახალხო, ისე თოჯინების თეატრის მსახიობებმა და ამისთვის კოლეგებს უდიდესი მადლობა“.**

ავტორისთვის ყველაზე კარგი ლექსი თუ მოთხრობა მისი განუმეორებელი შვილები არიან და ამაში აუდიტორია კიდევ ერთხელ დარწმუნდა.



ღონისძიების პირობითი ნაწილი დაამშვენა სიფაქიზით გამორჩეულმა ცეკვა ,,სამაიამ“ და განსაკუთრებულ გარემოს შემოუერთდნენ ახალგაზრდა წამყვანები: მშვენიერი **ნინი კახელი** და ელეგანტური **დავით არბოლიშვილი,** რომლებმაც პოეტის ბიოგრაფიული შტრიხები შეგვახსენეს და მოკრძალებული სცენის სასაუბრო სკამზე რიგრიგობით მონაცვლეობდნენ ნინო ხოტივარის ახლო მეგობრები. **მანანა ორჯონიკიძე, მაია ორთოიძე, ხათუნა ურჩაძე, ნანა კევლიშვილი** - მათ ხაზგასმით და ზუსტი პერსპექტივიდან წარმოგვიდგინეს პოეტის პორტრეტი, ხასიათი, მეგობრობისა და ერთგულების თამასა, ცხოვრების კრედო, ღირებულებები და მათ წინაშე ,,დაბადებული“ ლექსების მასაზრდოებელი არსი. სენსიტიური გახლდათ ყოველი გამომსვლელის სიტყვა - აღბეჭდილი ერთადყოფნაში, გამოცდილებაში, ყოველდღიური წლებით გამობრძმედილი. არ შეიძლება არ დაეთანხმო გულიდან ამოსულ სიტყვებს, შეფასებებს: **,,ეს ნათელი წიგნია, ლექსი იმ გულს ჰგავს, საიდანაც გადმოდინდება. ავტორი ზნე-კეთილი ადამიანია. ის წერს ისე, როგორც ცხოვრობს და ცხოვრობს ისე, როგორც წერს!“**

დასასრულს სიტყვითა გამოვიდა გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორი, ბატონი **ვალერიან ლომიძე** და გაახმოვანა ძველი ინიციატივა, რის მიხედვითაც სასურველია ბორჯომში გამოიცეს ლიტერატურული ალმანახი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ავტორი, ქალბატონი **ნინო ხოტივარი.**

ასევე, სასიამოვნო მოსასმენი გახლდათ აღნიშნული კრებულის რედაქტორი, საღამოზე მოწვეული მთავარი სტუმრის - ბატონ **ზაურ ნაჭყებიას** ,,მსუყე“, პროფესიონალური შეფასება: მის ხელში გაიარა ყველა ლექსმა, თითოეულმა ბწკარედმა. მან დეტალურად ,,შეიცნო“ ავტორის კალამი, თითოეული სიტყვის ღირსება დაინახა, გულწრფელობა და ნამდვილობა; ასევე, მას არ გამორჩენია ბორჯომის ლიტერატურული საზოგადოების ასეთი დონე და ინტერესი.

ამ იშვიათ საღამოს ჰქონდა ლოგიკური გაგრძელება, ულამაზესი მეორე ნაწილი, რომლის სპონსორი შ.პ.ს. ,,აი-დი-ეს ბორჯომი-საქართველოს“ დირექტორი, ბატონი **მერაბ ახმეტელი** იყო. ხოლო გამფორმებლები მუდამ ერთგულ საყრდენებად გამოჩნდებიან **ტატიანა მარტინენკო** თავისი უშურველი ბუნებითა და ავტორის მშვენიერი გოგონა - **შორენა ლომიძე.**

ჩემი მხრიდან კი, შევეცადე მცირე, ფილოლოგიური რეცენზიის მსგავს ჭრილში ჩამეხედა **ნინო ხოტივარის** ლექსების კრებულში. მოგეხსენებათ, სიტყვა არის ყველაფერი, რომელიც განცდას ასაზრდოებს, სიყვარულით დაწერილი სიტყვის დასაწყისიც და პოეზიის გზაზე ბილიკის გაგრძელებაც. (აქვე გამახსენდა, რაღაც უცნაური დამთხვევაა: პოეტმა **,,მზეზე გამომცხვარი პური“** დაარქვა, ხოლო პოეტმა **დავით მაღრაძემ** სულ ახლახანს გამოსცა მორიგი კრებული, რომელსაც დაარქვა **,,ობიანი ყველი“** - ეს არ უნდა იყოს ჩვეულებრივი დამთხვევა და ამ ორი კრებულის ,,შეხვედრა“ არ იქნებოდა სამომავლოდ ურიგო ფაქტი. წიგნში წაიკითხავთ ისეთ ბავშვობას, სადაც გარდა ჭიამაიისა, სხვა რამეც ბევრი დარჩენილა. თუ ჩვეულებრივ ცუდ სიზმარს წყალს ვუყვებით, პოეტი აქ ბუხარს ანდობს, რადგან ეძვირფასება... ეძვირფასება ის მდინარეც, რომელიც საყვარელი ადამიანის ფიქრს და ნაღველს ინახავს. ხშირია ნინოს ლექსებში ისეთი ენობრივ-მხატვრული საშუალებები, როგორიცაა ალიტერაცია, სადაც ყურს მუსიკალურად ჩაესმის თანხმოვანთა ,,შეთანხმება“-დამეგობრება: **,,გაქცეული ჩაიდანი, ისრებს დასდევს სიჩუმეში, ჩამი-ჩუმი ადრიანი“, ,,ნარინჯისფერს ცეცხლი ასდის, მარჯნის მაჯა ამბავს ჰყვება, აედევნა ჩვეულ გზა-კვალს, შემოდგომის შემოტევა“, ან კიდევ: ,,მეტი რა? - მეტი-რა?“, ,,საიდანღაც ხმა მომესმის აფხაზეთის მიმოზების, აჩაბეთის ყაყაჩოებს უთქვამთ ბანი მაჩაბლების“, ,,ცელზე აეცვა მარცხის ფურცლები“ და ა.შ.**

ყველა დიდი პოეტის საფიქრალია მარადიული კითხვა: ვინ ვართ, რანი ვართ და პოეტიც ვერ გაექცა საკუთარი თავისადმი რიტორიკულ შეკითხვას. ამ გზაზე მიდის, იმუხლება, მცდელობის შემდეგ კი დგება, ,,მზეზე გამომცხვარი პურით“ დადის და არც ილლება. ,,სტერილური ღიმილი“ აქვს; დრო-ჟამისგან ნაძერწია, ერთ-ერთი ნატეხია წმ. ნინოს ვაზის ჯვრისა, რა აქვს? - ლაზარეს ენა აქვს, ანბანი სამოთხისდარი და მიწა - ზურმუხტისფერი: ამ ლექსში ჩატეულია ილიასეული სამება: **,,მამული, ენა, სარწმუნეობა“.**

ლექსი ,,მატარე“ ერთგული სიყვარულის წიაღიდანაა, სადაც ხატებად შეგხვდებათ: ,,გიყურებ - შენ თვალში ჩავტოვე ნაბიჯი, სათავე, საწყისი, ძირი ფსალმუნისა“, ან კიდევ: ,,მინებზე თითებით ნაწერი სახელი, შენგან დაორთქლილი ბგერების ბრალია“ - ჩვენ, მის შინაგანში არაერთხელ ჩახედულებმა კი ვიცით ეს სურათ-ხატი ვისიცაა... დიდი კოლუმბიელი მწერალი ამბობს, ადამიანი მხოლოდ იმ ადგილთან არის მიჯაჭვული, სადაც მისი მიცვალებული განისვენებსო... და ნინოს პოეზიაც ჩემთვის, შეიძლება ვარღვევდე ახლა რაღაც ორს შორის კავშირს, მაგრამ განა, გულახდილი ემოციის დღე არ გვაქვს? ამიტომაც გაუბედავად მივეცი თავს უფლება ჩამერთო აქ ეს საბედისწერო მონოლოგი გოდერძი ჩოხელის ერთი მივიწყებული ლექსიდან **,,მე დავბრუნდები სიკვდილის მერე, ყვავილს მოგიტან საიქიოდან... მოვიტან ღმერთის ლამაზ სიმღერებს და თვითონ ღმერთის იმედს მოვიტან. მე დავბრუნდები საიქიოდან, ბალახად მოვალ, ნისლად და წვიმად. წავალ - ბალახარ ყვავილს მოვიტან, რომ ვუმკურნალო, ვისაც რა სტკივა. მე დავბრუნდები საიქიოდან, მაღალი ღმერთის სუნთქვას მოვიტან. მე დავბრუნდები თავისუფალი, სიკვდილისა და სიმარტოვისგან. მე აღარ წავალ საიქიოში, ყველგან ვიქნები: ქარში, წვიმაში; ვიქნები მზეში, მზის ამოსვლაში, ცისკრის ვარსკვლავთან ვივლი დილაში, მე აღარ წავალ.. სულ აქ ვიქნები, საუკუნიდან საუკუნეში, მაღალი ღმერთის სუნთქვა ვიქნები, სიყვარულს დავთეს ყველას გულებში. მე აღარ წავალ საიქიოში. მომენატრებით? ვიმოგ ზაურებ: სააქაოდან საიქიოში“...** მე ამ აჩრდილს ვხედავ ამ ლექსებში, რადგან სხეული ყოველთვის ვალშია სულთან. ადამიანების მისიაც ეგაა, რომ ღირსებით, ნიავმიუკარებლად ატარო რითმიდან ვერლიბრში და პირიქით, გადმოალახინო სტროფიდან სტროფში. მისი საზღვარი ჯერ ვერხილული და უტყვი, რომელიც ჩაგჩურჩულებს: **,,მე დილის სხივში მეშლებაო შენი სახელი“, ,,დილა ღამის მუხლისთავებს ეყრებოდა“, ,,ჩამომიჯინე შენი შფოთის იდუმალ ტოტზე“.** იმედიანი, ოპტიმისტი პოეტები სწორედ ასე შემოგვიტოვებდნენ მომავლის იმედს ოდითგანვე. დღეს პოეტიც ამას ამგვარად გაახმოვანებს: ,,გამოიდარებს, უეჭველი გამოიდარებს“.


ზაურ ნაჭყებია

**მონიკა ჭანტურია**

# დასასვენებელ და გასართობ სივრცეებში – მეტი ყურადღება!

**ბორჯომის დასასვენებელ და გასართობ სივრცეებში მომხდარი რამდენიმე შემთხვევის შემდეგ სტატიის დაწერა გადავწყვიტე,** რომლებიც ოჯახებს შეემთხვათ. ბავშვები მშობლებთან ერთად სკვერში გასართობად იმყოფებოდნენ. ბორჯომის კოსტავას პარკში დამონტაჟებულ რკინის ატრაქციონზე თამაშისას ბავშვმა ფეხი მოიტეხა და სხეულის სხვა ნაწილებზეც მიიღო დაზიანებები. **მშობელი სად იყოო? - მაშინვე იკითხეს**. იქვე გვერდით ჰყავდა დედა, მაგრამ შემთხვევას წინ ვერ აღუდგა. როგორც შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, ამ ატრაქციონზე მსგავსი შემთხვევა პირველი არ ყოფილა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, როდესაც შევიცხადე და ვთქვი, რომ ბავშვს მეგობრებთან ერთად აღარ გავუშვებდი სკვერში, მითხრეს, რომ ფაქტის შემდეგ ატრაქციონი ჯაჭვით დაუმაგრებიათ. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ატრაქციონების დამონტაჟებისას უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული და ,,ურემის გადაბრუნების“ შემდეგ არ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება.

მსგავსი თემის გაშუქების მიზნით თხოვნით მოგვმართეს ჟურნალისტებს ლიკნის დასახლებაში არსებულ სკვერზე, მოგვემზადებინა ინფორმაცია, ბავშვებისათვის განკუთვნილ გასართობ სივრცეში დაგებულია მხოლოდ ბეტონი და დღემდე არ დაგებულა მასზე სპეციალურად რბილი საფარი. ბავშვებს დამტვრეული და გადაყვლეფილი აქვთ ხელ-ფეხი.

საქმეს დროულად უნდა მიეხედოს, თორემ მერე უსაფუძვლოა მკერდზე მჯიღის ცემა.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა წაღვერში არსებულ მინი საფეხბურთო მოედანზე განვითარებულ ამბავს, რომელიც მავთულის ბადის ძირს ჩამოვარდნამ გამოიწვია. აქვე წერდნენ, რომ საკმაოდ ბევრი ბავშვი დაზიანდა ბასრი ნაწილებით და ვის მივმართოთ, რომ გააკეთონო?!

აღნიშნულ ფაქტს კომენტარის სახით უპასუხა წაღვერის კულტურის სახლის დირექტორმა ქალბატონმა დალი ქასაშვილმა:

- ყველა საქმის კურსშია, მალე მოგვარდება პრობლემა. მანამდე, გთხოვთ, ნუ შევლენ ბავშვები მინი სტადიონზე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ დამცავი ბადის გასწორებას, მაგრამ იმდენად მძიმე აღმოჩნდა, საჭიროა ტექნიკის გამოყენება. მალე სტადიონი წესრიგში იქნება.

რაც შეეხება საბავშვო სასრიალოებს, დეტალურად დავათვალიერეთ და ხარვეზი ვერ აღმოვაჩინეთ, პოსტის ავტორს ვთხოვთ, დაგვიკონკრეტოს რომელ ადგილზე რა ხარვეზზეა საუბარი, რომ გამოსწორდეს პრობლემა.

აქვე მინდა ვთხოვო ყველა სტუმარსა და მასპინძელსაც, გაუფრთხილდნენ დეკორატიულ მცენარეებს, ნუ მოწყვეტენ ყვავილებს, მიაქციონ ბავშვებს ყურადღება, სივრცე პატარაა და ეს სეზონი როგორმე ერთად ლამაზად გავატაროთ. ამასთან კატეგორიულად აკრძალულია ღია სცენაზე ველოსიპედებით გადაადგილება და ფეხბურთის თამაში. მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი და თავს უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაიგდებთ. ურჩებს მოუწევს ჯარიმის გადახდა, ვიდეოკამერა ორჯერ გამოვცვალეთ, სწორედ ბურთით დაზიანების გამო. ბედნიერ დასვენებას გისურვებთ თითოეულს“.

**ლელა ლოლაძე** კი წერდა, - ,,აი ის, რაც ამ სტადიონზე ხდება, ბავშვის გაკეთებული არაა. ბავშვები შედიან და თამაშობენ გვიანობამდე, მოსწონთ და უხარიათ იქ ყოფნა. ყველა ბავშვი გულდაწყვეტილია, ასე რომ დახვდათ სტადიონი. ეს არის ბოროტი ადამიანის ჩადენილი! დაამონტაჟონ სათვალთვალო კამერა და სახალხოდ გამოააშკარაონ ამის გამკეთებელი“.

ფაქტია, რომ ქალაქს, კიდევ მეტი ყურადღება სჭირდება. მეტი პასუხისმგებლობითა და საქმის სიყვარულით უნდა მოვეფეროთ და მოვუაროთ ჩვენს ქალაქს.

და ისევ მინდა, ბედნიერი, უსაფრთხო და მშვიდი დასვენება გისურვოთ.

**იზა იანვარაშვილი**

# სტუმარი ბაკურიანის ბიბლიოთეკაში

**ბაკურიანის** ბიბლიოთეკა მუდმივად აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ლიტერატურულ აქტივობებში, ტარდება პოეზიის საღამოები, იმართება შეხვედრები პოეტებთან და ლიტერატორებთან. მთარგმნელი **თამარ კოტრიკაძე** დიდი ხანია მეგობრობს ბაკურიანის ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკის გამგესთან, ქალბატონ დარეჯან ბარათელთან. რამდენიმე წლის წინ ბაკურიანში საინტერესო ლიტერატურული შეხვედრა მოეწყო ქალბატონ თამართან, სადაც მან საკუთარ თარგმანებსა და წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მთარგმნელს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს ბაკურიანთან, რადგან გარდა იმისა, რომ ბავშვობიდან ყოველ არდადეგებს აქ ატარებდა, ის წარმოშობით ბაკურიანელია და აქაურობის მოტრფიალე და გულშემატკივარია. თამარი თარგმნის პროზას და ესეისტიკას გერმანული, ინგლისური, რუსული და ფრანგული ენებიდან. მისი წყალობით ქართულად ალაპარაკდნენ ცნობილი მწერლები თუ მოაზროვნეები: ლოურენსი, ბრედბერი, ვოდოლაზკინი, პრილეპინი, ოშო, შოპენჰაუერი, მაკალოუ, დიკენსი, ალექსიევიჩი და სხვები. ასევე თამარის დამსახურებით მალე დღის სინათლეს იხილავს ცნობილი ინგლისელი მწერლის რედიარ კიპლინგის ნაკლებად ცნობილი ძველი ინგლისური ზღაპრების ქართული თარგმანი. თავის თარგმანებს თამარი ყოველ წელს საჩუქრად გადასცემს ბაკურიანის ბიბლიოთეკას, სადაც ქალბატონ დარეჯანს ასეთი საჩუქრებისთვის სპეციალური თარო აქვს. წელსაც ტრადიცია არ დარღვეულა და თამარ კოტრიკაძის ახალი თარგმანები შეემატა დაბის ბიბლიოთეკას: რეი ბრედბერის საბავშვო მოთხრობები, ჯორჯ მარტონის ,,ღამეში მფრენნი“, ჯ.მ. ბარის ,,პიტერ პენი და უენდი“, ემილი სენტ-ჯონ მანდელის „სადგური 11“, კრისტოფერ პოლ კერტისის „პატარა ჩარლის მოგზაურობა“. ასევე ჯორჯ ორუელის ცნობილი რომანის ალტერნატიული თარგმანი „ცხოველების კარ-მიდამო“, ნობელიანტი ავსტრიელი მწერლის ელფრიდე იელინეკის რომანი „ვნება“ და XX საუკუნის დიდი ინდოელი სულიერი მოძღვრის, ოშოს



სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი“.

- ზოგადად ცოტა რამ თუ არსებობს ქვეყნად, ბიბლიოთეკაში ვიზიტს რომ მერჩივნოს: ეს ჩემთვის ალადინის განძეულის მღვიმეზე უძვირფასესი ადგილია. განსაკუთრებით მიხარია ბაკურიანის ბიბლიოთეკაში სტუმრობა, რადგან ის ჩემთვის წიგნებით მოგვრილი სიამოვნების გარდა ბავშვობის მოგონებებთანაცაა დაკავშირებული, თანაც აქაურობის გამგე, ქალბატონი დარეჯანი მუდამ ტკბილად და გულითადად ხვდება სტუმრებს. ბაკურიანის ბიბლიოთეკაში მომწონს წიგნების სიმრავლე და მრავალფეროვნება, საათობით შეიძლება თაროების ჩხრეკა და ახალ-ახალი აღმოჩენებით ტკბობა! ასევე აქ არის არაჩვეულებრივად მშვიდი და მყუდრო გარემო: არაფერი ჯობს ბიბლიოთეკის ყვავილებით მორთულ აივანზე წიგნით სიმყუდროვეს! ცხადია, ჩემთვის უდიდესი სიხარული და პატივია ისიც, რომ ჩემი მშობლიური დაბის ბიბლიოთეკაში ჩემი თარგმანებიც სათუთადაა დაცული. ამჯერად ქალბატონ დარეჯანს მეტწილად საყმაწვილო ლიტერატურა გადავეცი და, იმედი მაქვს, ეს წიგნები ბაკურიანის ახალგაზრდა თაობასა და დამსვენებლებს გამოადგებათ, - გაგვიზიარა ემოციები ბიბლიოთეკაში ყოფნით ნასიამოვნებმა თამარმა.

ნამდვილად, ვინ თუ არა წიგნების ჭეშმარიტმა მოტრფიალემ მოუწოდოს ახალგაზრდობას კითხვის სიყვარულისკენ.

**რუსუდან სხირტლაძე**

## ესტუმრეთ სამკერვალო „ელვას“



**ელეონორა რობაქიძემ რამდენიმე თვის წინ ბორჯომში სამკერვალო „ელვა“ გახსნა. მან უკვე პატარა ფეხბურთელებს ელვის სისწრაფით პირველი ფორმებიც შეუკერა და მათი გულები გაახარა.**

არაერთი მადლობის შეტყობინებას ნახავთ მის ფეისბუქ გვერდსა და პირად მიმოწერებში.

ასე ზრუნავს მრავალწლიანი გამოცდილებით უმშვენიერესი ელეონორა სხვადასხვა დაწესებულების, გუნდების და თანამშრომელთა ჩაცმულობაზე. მაისურებზე თავად უზრუნველყოფს სასურველი წარწერისა თუ ლოგოს გადატანას, რაც მთავარია ხარისხიანად, მთელი გულით აკეთებს საქმეს, რომელიც უყვარს და 12 წლიდან იწყებს ათვლას მისი კერვისადმი განსაკუთრებული ინტერესი. მას არაერთ ფაბრიკაში უმუშავია თბილისში და სწორედ აქ მუშაობის პერიოდში შეკერა გალფის, სასწრაფოსა და ამასთან სხვა იტალიური ბრენდის სამოსებიც კი.

სიმბოლური დატვირთვითაა შერჩეული სამკერვალოს სახელი ,,ელვა“ 1. ქართული სიტყვის მნიშვნელობით; 2. მისი სახელის წინა ასოებისა და ემოციის გამძაფრებული გამოხატვით „ელ-ვა“; 3. მართლაც, რომ ელვის სისწრაფით კერავს ჩვენი რესპონდენტი სურვილის მიხედვით მომხმარებლისთვის ფორმებს, სპორტულებსა და სხვა საჭირო ტანისამოსს.

სხვა დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნომერზე: 598 75 05 06, ან ეწვიოთ მისამართზე სააკაძის №2-ში, III სართული, ოთახი 36.

ვულოცავთ ელეონორას ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს, წარმატებით განეხორციელებინოს მისი მცირე ბიზნეს იდეა და კიდევ უფრო მეტი კმაყოფილი მომხმარებელი ჰყოლოდეს.

რაც უფრო მეტ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა აკეთოს თავისი საყვარელი საქმე, მით უფრო მეტად წარმატებული გარემო შეიქმნება ჩვენს ირგვლივ.

**იზა იანვარაშვილი**

## მგელი ბუნების მეფეა

**თურმე, როდესაც მგელი აგებს ბრძოლას და აცნობიერებს, რომ მას არ აქვს გამარჯვების შანსი, წაგებული მგელი მშვიდობიანად თავაზობს მოწინააღმდეგეს ყელს, თითქოს ეუბნება: ,,მე წავაგე... მოდი და დაასრულე!“ და მაინც, იმ მომენტში ხდება დაუჯერებელი და აუხსნელიც, ეს საქციელი პარალიზებას იწვევს გამარჯვებულ მგელში!! ათასობით წელი მასში გამჯდარი ინტუიცია ხელს უშლის მას მოკლას ის, ვისაც აქვს დამარცხების აღიარების ,,თავმდაბლობა“.**

**მგელის (დნმ) დეენემში ჩადებულია ინსტინქტი, გამარჯვებულ მგელს შეახსენებს, რომ მიტევება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოწინააღმდეგის განადგურების სიამოვნება.**

**რა შესანიშნავია!!!**

**დანებებულ მგელს ვერავინ უწოდებს მშიშარას. უბრალოდ ხდება... სასწაული! არც გამარჯვებული, არც დამარცხებული!**

**ორივე მგელი შორდება ერთმანეთს და სიცოცხლის ბორბალი მაინც ტრიალებს.**

**და, რა კარგი იქნებოდა, ადამიანებმა სიამაყისა და ძალაუფლების წყურვილის გამო ერთმანეთის ჩაგვრა და ,,ხოცვა“ რომ აღარ გააგრძელონ და მგლებისგან მაგალითი გაითავისონ!**

### მგელი ბუნების მეფეა

მგელი ბუნების მეფეა,
თავისუფლების სიმბოლო,
ლომსა და მგელს ნუ ადარებთ,
ვინ პირველია, ვინ ბოლო.
მგელი არ კარგავს სახესა,
ამტანი არის ჭირშია,
ლომი მეფეა, მერე რა?

მგელს ვერ იხილავთ ცირკშია...
ღამის რაინდმა არ იცის
უკან დახევა ან ძილი,
გამარჯვებაა მისი გზა,
ან ბრძოლის ველზე სიკვდილი.

**თედო მელიქიძე**

## სპექტაკლი – ,,ლამაზი ცრემლები“




5 აგვისტოს ბაკურიანის კინოთეატრში მოზარდ-მაყურებელთა თეატრი მაყურებლის წინაშე წარდგება რევაზ ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლით ,,ლამაზი ცრემლები“.

საღამოს მუსიკალურად გააფორმებს ჯგუფი ,,იცანი“ და მევიოლინე **გვანცა ჩხეიძე.**

5 აგვისტო:
I სეანსი - 13:00
II სეანსი - 17:00
დასწრება თავისუფალია
ასაკობრივი შეზღუდვა: 8+ წელი.
რეჟისორი: თათული გომართელი.
მსახიობები: **ნინო ანდრიაძე, ნიკუშა კვანტალიანი, გიორგი ჯიქურიძე და ვამეხ ჯანგიძე;**
ორგანიზატორები: **საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი.**

ნუგზარ ქარელის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის ნათლიას მეგი გოგოლაძეს ძვირფასი მეუღლის
**ნიკო ღვალის**
გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 30 ივლისს ბაკურიანში.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე:ნატო მელიქიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი

### ქართული ჭიდაობა

# ღმერთის არსებობას იწამებ...


ოლეგ ლომიძე, ჰამლეტ დავრაშელიძე ოკო ლომიძე

27 ივლისს, ახალდაბაში, ოლეგ ლომიძის სახელობის საჭიდაო არენაზე მისივე სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში.

ტრადიციული ტურნირის მხარდამჭერია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და ბორჯომის სასპორტო სკოლა. წელს 160-მდე ახალგაზრდას გულშემატკივრობდა მაყურებელი.

საუკეთესოს გამოვლენას ელოდა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი **გელა ბერუაშვილი**, რომელმაც განაცხადა: - ჩვენი მიზანია, რომ ძლიერი მოჭიდავეები და ჯანმრთელი ახალგაზრდები აღიზარდონ, გვასახელონ ფართო მასშტაბის ტურნირებზე. ვხედავ, ყველა იბრძვის გამარჯვებისთვის.

- უდიდესი ემოციაა შენი სახელობის ტურნირზე რომ ჭიდაობენ ბიჭები. ეს ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. მადლობა მინდა ვუთხრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, საკრებულოს, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს გელა ბერუაშვილს, რომ ყოველ წელს, ტრადიციულად იმართება შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. სასიხარულოა, რომ უკვე მეხუთედ ტარდება აღნიშნული შეჯიბრი. ქართულ ჭიდაობას დედა ჭიდაობას ვეძახით მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. მას მხოლოდ საქართველოში იცნობდნენ. დღეს კი იუნესკომ ქართული ჭიდაობა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნუსხაში შეიტანა. მალე საქართველოს 30 ქვეყნიდან ეწვევიან მსოფლიო პირველობისათვის ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ბათუმში გაიმართება, გვითხრა საუბრისას **ოლეგ ლომიძემ.**

გამარჯვებულები 7 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. შეჯიბრებაში 10 ქალაქის - ბორჯომის, ქარელის, კასპის, გორის, ხაშურის, ლენტეხის, ქუთაისის, ტყიბულის, თეთრიწყაროს და მარნეულის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

**50კგ. I – თემო გოგრიჭიანი (კასპი), II – ლაშა აღუაშვილი (გორი), III – დათო ვაშაყმაძე (ვანი).**

**55კგ. წონით კატეგორიაში გაიმარჯვა ლუკა მღებრიშვილი I – (კასპი), II – გიორგი კაპანაძე (ქარელი), III – გიორგი მებაღიშვილი (ქარელი).**

**60კგ. I – ირაკლი ღიბრაძე (თბილისი), II – ნიკოლოზ იაშვილი (თბილისი), III – ჯაბა ბალახაძე (ბორჯომი).**

**66კგ. I – ლუკა ნანავა (თბილისი), II – იესო სამსიანი (თეთრიწყარო), III – გიორგი ბაბუციძე (გორი).**

**73კგ. I – საბა სამსიანი (თეთრიწყარო), II – ჯუმბერი ძამულაშვილი (გორი), III – ნიკოლოზ კვიციანი (თბილისი).**

**81კგ. I – ლუკა ბუზიაშვილი (ქარელი), II – გიორგი თაბუაშვილი (კასპი), III – ანზორ ქურციკიძე (ტყიბული).**

**81კგ. I – ლუკა აბგაიძე (ქარელი), II – თორნიკე საური (გორი), III – ჰამლეტ დავრაშელიძე (ქარელი).**

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებულმა ქარელიდან ჰამლეტ დავრაშელიძემ მოიპოვა პრიზი ტრადიციული ცხვარი და 20 ლიტრიანით ღვინო. II ადგილი დაიკავა თორნიკე საურმა.

I ადგილის მფლობელს 500 ლარი, II ადგილის მფლობელს 300, ხოლო III ადგილის მფლობელს 200 ლარი, ამასთან გამარჯვებულებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, საკრებულოს დეპუტატები, სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე** და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

**დავით ზაალიშვილი**: - დღევანდელი დღე ტრადიციულია, ახალდაბაში ყოველწლიურად იმართება ოლეგი ლომიძის სახელობის ტურნირი. ეს, ჩვენი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა თანდათან იზრდება. ჩვენ ბორჯომს ჰყავდა გამოჩენილი მოჭიდავე ოლეგი ლომიძე, რომელიც ცნობილია და ეს ტურნირი უნდა არსებობდეს, სწორედ ბატონი ოლეგის საპატივსაცემოდ.

**ელიზბარ სტეფნაძე**, ბორჯომის სასპორტო სკოლის



დირექტორი:

- წლიდან წლამდე იზრდება მონაწილეთა რაოდენობა. საპრიზო ფონდი გავზარდეთ და მოტივაცია მეტია, შესაბამისად მონაწილეობისა და გამარჯვების სურვილიც იზრდება.

მოგეხსენებათ, ქართული ჭიდაობა ძალიან დაახლოებულია ძიუდოსთან, რომელიც შემდეგ ეტაპზე ეხმარება ჩვენს ბიჭებს წარმატებაში.

**იზა იანვარაშვილი**

## ბარბარე შონიას წარმატება

ფოთის საერთაშორისო საჭადრაკო მე-17 ფესტივალი 15 ივლისს დაიწყო და 24 ივლისს დამთავრდა. მასში მონაწილეობდა 14 ქვეყნის 450-ზე მეტი მოჭადრაკე. ფესტივალის ფარგლებში 11 სხვადასხვა ტურნირი ჩატარდა. ერთ-ერთი იყო 16000-მდე სარეიტინგო ქულის მქონეთა ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის 70 გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა.

წარმატებით იასპარეზა ბორჯომის სპორტსკოლის წარგზავნილმა 11 წლის **ბარბარე შონიამ.** მისი ცხრა მეტოქიდან 13-დან 18 წლამდე ასაკის 8 ჭაბუკი იყო და 17 წლის ერთი გოგონა.

ბარბარემ მოიგო 4 პარტია, 2 წააგო და 3 ყაიმით დაამთავრა. 5,5 ქულით ქალებს შორის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა და მას გადაეცა ბრინჯაოს მედალი და სიგელი.

ამ შედეგით 12 წლამდე ასაკის გოგონებს შორის პირველი იყო.

**უშანგი ჯანგირაშვილი.**







## მკლავჭიდის ამბები

თურქეთში გაიმართა ტურნირი მკლავჭიდში ,,ისთ-უესთი“, სადაც მონაწილეობა მიიღო ბაკურიანელმა მკლავჭიდელმა **დავით გავვამ.** ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ათლეტებმა მთელი მსოფლიოდან. 105 კგ წონით კატეგორიაში ჩვენებურმა სპორტსმენმა მარცხენა ხელით ჭიდილში უკრაინელ სპორტსმენს აჯობა. მანამდე გავვამ ხუთი ოპონენტი დაამარცხა. ტურნირის გამარჯვებულები ფულადი პრიზებით, სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. გამარჯვების შემდეგ დავითს ელოდება ისთ-ვესთის შემდეგი ეტაპი, ე.წ. ,,ვენდეტა“.

## ბორის ტაბატაძის გახსენება



მეხივით დაგვეცა შენი გარდაცვალების ამბავი, დედი და მე კვლავ ერთხელ და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ულმობელია ცხოვრება. ზოგჯერ როგორ ირღვევა კანონზომიერება სამყაროში, რასაც ვერაფრით ვერ ვხსნით. მონატრებული შვილი მომიკვდი. წლების მანძილზე საბერძნეთის გზას გამოვყურებ შენს მოლოდინში, რით უნდა ავხსნა ეს ფიქრი, რა სახელი უნდა დავარქვა ამ მოვლენას, ან დედისთვის როგორ უნდა ეთქვათ, შვიდი წლის უნახავი შვილი აღარ გყავსო?! გაბედეს, მითხრეს და ნახეს დედის ცოცხლად სიკვდილი.

მეუღლემ დიდსულოვნად დამითმო შენი თავი, შენ დედა ხარ და ამდენი წელი არ გინახავსო, გულმოკლულმა გამოგაცილა საბერძნეთიდან მოამაგე ქმარი და მამა, თავად კი შენს გარეშე დაიწყო შვილებთან ერთად ცხოვრების სწავლა. შენს გარეშე ყოფნას სწავლობენ მამაშენიც, ძმებიც და მეგობრებიც, ასე რომ უყვარდი... მე ხომ მომიკვდი და სხვებსაც... ყველას ენანები პატიოსანი, ერთგული და უზომოდ მშრომელი ადამიანი. სავალდებულო სამსახურის დასრულების დღიდან თავდაუზოგავად რომ შრომობდი, რათა ახლობლებისთვის ყოველი დღე უკეთესი გაგეხადა.

როდესაც მყარად დადექი ფეხზე... ოჯახიც შექმენი. დოვლათიც დააგროვე და უნდა დამტკბარიყავი შენი მონაპოვარით, ფეხი დაგიცდა... ბედმა გიმტყუნა და მონატრებით დაღლილი გული საბოლოოდ მომიკლა. ვაი, დედაო, თუ დამიძახე, ჩემო ბიჭო. იქნებ დამიძახე კიდეც და ვერ გავიგე მე უბედურმა?! ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, ორმოცი ტკივილიანი მონატრების მოგონებებით მოვდივარ აქამდე. შენზე ფიქრით ვანთებ სანთლებს და ვლოცულობ იმ იმედით, რომ დედის ლოცვა ცოტათი მაინც შეგიმსუბუქებს სულეთისკენ მიმავალ გზას!]

შეხვედრამდე, ჩემო ბიჭო. გენაცვალოს დედამ.